ხობის მოამბე

№19 (7078) 29 სექტემბერი,
ხუთშაბათი, 2016 წელი.
ფასი 0,70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

„თვითმმართველობა უკეთესი რამაა ცხოვრებაში ადგილობრივ ადამიანთა. საცა ერევა ადამიანი, იქი აყვავებულ ბალახს... ყოველი სახელმწიფოა, რომელსაც ეყოფა თუ მეფეად დაიდგამენი, ხანგრძლივ-ხანგრძლივად ანის ყველაფერია, თორემ მოვა და ანგრევენ ადგილია იყოს.“

ხალხის მხარდაჭერა და ნდობა განამტკიცებს ჩვენს ძალას

გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა და ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დააყენა. ამ 4 წელიწადში დავამტკიცეთ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება ადამიანი და მისი თავისუფლება, თითოეული მოქალაქის მშვიდი და სტაბილური ცხოვრება, ჯანდაცვითა და სოციალური პირობებით უზრუნველყოფაა. ჩვენ, სწორი და გონივრული პოლიტიკით, შეიარაღებული კონფლიქტები და ომის განახლების საფრთხე ავირიდეთ თავიდან.

დღეს კი ხალხს ქვეყნის სწრაფი განვითარების კონკრეტულ, ოთხპუნქტიან გეგმას ვთავაზობთ, რომელიც საქართველოს წისვლაში გარდამტეხ როლს შეასრულებს და თითოეულ მოქალაქეს სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს. საგადასახადო სისტემის რეფორმა, დამწყები ბიზნესის ხელშეყწობა, ახალგაზრდების წახალისება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული განათლების სისტემა, რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება, სახელმწიფო უწყებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა–ეს ის აუცილებელი პირობებია, რომელთა შესრულებაც ქვეყანას ახალ ეტაპზე გადაიყვანს და ხალხს მეტ კეთილდღეობას მოუტანს.

წინ საპარლამენტო არჩევნებია. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არის ქმედითი და უალტერნატივო პოლიტიკური ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ხალხის მხარდაჭერა და ნდობა განამტკიცებს ჩვენს ძალას. დარწმუნებული ვარ, თქვენთან ერთად, გაერთიანებული ძალებით, ჩვენ ერთად ავაშენებთ თავისუფალ, დემოკრატიულ, სტაბილურ და წარმატებულ ქვეყანას, სადაც ხალხის ღირსეული ცხოვრებისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი.

აფხაზეთი—ტკივილი ჩვენი

სოხუმის დაცემიდან 23 წელი გავიდა...

ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი კი, უსახლკაროდ დარჩა. სოხუმის დაცემის დღეს რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დღეს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტულ ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა. ქართულ შენაერთებს აფხაზებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა მილიციისა და არაოფიციალურად გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთები ებრძოდნენ. ქართული მხარის მონაცემებით, ამ ბრძოლაში 10

ნოდარ ჯავახიშვილი: პაბივი მქონდა, ხობის მოსახლეობისთვის „ქართული ოცნების“ კანდიდატი მიმველოცა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ირაკლი (დაჩი) ბერაიას მხარდასაჭერად ჩამოვიდა. მინისტრი შეკრებილ საზოგადოებას კანდიდატთან მის მრავალწლიან საქმიან ურთიერთობებზე და სამინისტროში დაწყებულ სამომავლო პროექტებზე ესაუბრა.

„ჩამოვედი ხობში, რათა მხარი დავუჭირო მმართველი პარტიის ღირსეულ წარმომადგენელს, რომელიც იყო ჩემი თანამშრომელი და თანამებრძოლი. მახსოვს, 2012 წელს ეს ახალგაზრდა როგორ იბრძოდა ბანკის და ხალხის გადასარჩენად. კარგად ვიცნობ ირაკლის პიროვნებას. მჯერა, ის არასდროს მოგატყუებთ. უამრავი დეპუტატობის კანდიდატი შეგპირდებათ ბევრ რამეს. სიმართლე გითხრათ, ასეთ დაპირებებზე ირონიულად მეღიმება. იმიტომ კი არა, რომ ცუდი ადამიანები არიან. იმიტომ მეღიმება, რომ მათ არა აქვთ საფუძველი პასუხისმგებლობის. ჩვენ, რასაც შეგპირდებით, აუცილებლად შევასრულებთ“,–აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

გამოვთქვამთ მწუხარებას დამსახურებული პედაგოგის და ხობის საპატიო მოქალაქის შალვა ხარებავას გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს.

შალვა ხარებავა წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად მოღვაწეობდა საგანმანათლებლო სფეროში და დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნისთვის ღირსეული თაობების აღზრდის საქმეში. მას 2014 წელს განათლების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიენიჭა „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა



ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ორი წისქვილის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 13816 ლარია, ი/მ „ბადრი ბუკია“ ახორციელებს.

ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, მიმდინარე წელს უკვე განხორციელდა, სანიაღვრე არხების ამოწმენდის და შიდა სასოფლო გზების შეკეთების სამუშაოები.

კომისია ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გაეცნო

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარებას ითვალისწინებს. ამ დროისათვის, 14 ბენეფიციარს გაეწია 26 000 ლარის დახმარება.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია, თორსადღვაბის, ქვემო ქვალონის და ქ. ხობის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების განცხადების საფუძველზე, ადგილზე გაეცნო მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

აქცია „დავასუფთაოთ გარემო“

ხობის მუნიციპალიტეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, იურიდიული პირების თანამშრომლებმა აქციაში „დავასუფთაოთ გარემო“ მიიღეს მონაწილეობა და ერთად დაასუთავეს ქალაქის ტერიტორია. დასუფთავების აქციას მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და საჯარო სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

14-15-16 სეტემბერს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია–„დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც 1992 წელს დაფუძნდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით. კამპანია ტარდება ყოველ სექტემბერს და მასში 130-მდე ქვეყანა მონაწილეობს. 2016 წელს მსოფლიო კამპანიის დევიზია: „ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა“.

საქართველო ამ აქციაში უკვე მეხუთედ ღებულობს მონაწილეობას. აქცია შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება, რომელსაც ორგანიზებას უწევს პროექტი–„დავასუფთაოთ საქართველოს“ განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი („საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები–საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“).

კამპანიის მიზანია ადამიანების გაერთიანება ერთი იდეის გარშემო–შეუქმნან საკუთარ შვილებსა და ოჯახს ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების პირობები.

მიმდინარეობს დაგზიანებული გზების მოასფალტება

ქალაქ ხობში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დროს დაზიანებული გზების მოასფალტება მიმდინარეობს, რომელსაც შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს “მუნიციპალური განვითარების ფონდი”, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ ერთად ქალაქ ხობში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს. სამუშაოს დასრულების შემდეგ ქ. ხობის მოსახლეობა ხარისხიან წყალს 24 საათიან რეჟიმში მიიღებს.

სპორტი

რამაზ კიტიას სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში დასრულდა

ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, რამაზ კიტიას სახელობის სტადიონზე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, სოფელ ხურჩაში დაღუპული ხობელი პოლიციელის, რამაზ კიტიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრები გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული შპს „ჯორჯიან პროდაქტ რენესანსი“ გახდა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში გუნდი „კოლხეთი” დაამარცხა; ხოლო მესამე ადგილი ხობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის გუნდმა დაიკავა. ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოდ დასახელებულ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

ფინალურ მატჩს, რამაზ კიტიას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

ლევან ჭოჭუას სახელობის თასის გათამაშება

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა 2008 წელს აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, ლევან ჭოჭუას სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში.

ტურნირის გამარჯვებული ქ. ხობის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში გამოღმა ქარიატა, ანგარიშით 3-1 დაამარცხა; ხოლო მესამე ადგილი შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა დაიკავა. ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოდ დასახელებულ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

ფინალურ მატჩს საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

აფხაზეთი–ტკივილი ჩვენი

27 სექტემბერი–სოხუმის დაცემის დღე!

„ნეტავი, იქ თეატრი არის?!"

უკანასკნელი გასტროლები სოხუმში

პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, დიდი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის და რუსთაველის თეატრის სოხუმში უკანასკნელი გასტროლების შესახებაა.

ორიოდ დღეში სოხუმი დაეცა.

ასე იყო,–**იხსენებს საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ღაღანიძე, უკანასკნელი მოჰიკანი ქართული სცენის კორიფეთა იმ კოჰორტისა, რომლის მსგავსი, ვეჭვობ, გამეორდეს ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში,**– უმძიმესი დღეები ედგა მაშინ საქართველოს, ომი იყო, აფხაზეთის ომი.

ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს (იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი) წევრი გახლდათ. ჰოდა, მან მაშინდელ კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს მოუწონა იდეა, სოხუმში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცებისთვის გაემართათ კონცერტი, ან სხვა რამ მსგავსი ღონისძიება. სჭირდებოდა ეს ჩვენს ბიჭებს იმ გამუდმებული დაძაბულობიდან ცოტა ხნით მაინც გამოსასვლელად, რომელშიც დღედაღამ უწევდათ ყოფნა–სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე.

სოხუმი ფრონტისპირა ქალაქი იყო და განუწყვეტლივ იბომბებოდა...

შევარდნაძემ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ როგორც ვალერი ასათიანი იხსენებს, იყვნენ ისეთებიც, ვინც აჩქარებას არ ურჩევდა, დაელოდეთ, ვითარება დაწყნარდება და შემდეგ ჩადითო აფხაზეთში.

რატომ შემდეგ?

სხვა თუ არაფერი, ისტორიული გამოცდილება კარნახობდა, ახსენებდა სამამულო ომის გამოცდილებას, როცა საომარ მოქმედებათა წინა ხაზზე კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების საგანგებო ბრიგადები ჩადიოდნენ სწორედ ამ მიზნით.

გადადება არ ღირდა.

უკანდახევასავით იქნებოდა.

–თორმეტკაციანი იყო ჩვენი ჯგუფი,–**განაგრძობს ბატონი ჯემალი,**–პირველი, რა თქმა უნდა, რამაზ ჩხიკვაძე იყო, შემდეგ გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, სოსო ლაღიძე, ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, ლეილა სიყმაშვილი, დავით ჩხიკვაძე (მსახიობი, რომელიც ჩვენთან ერთად მღეროდა), ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის რეჟისორი, ამათ მეც მიმათვალეთ. წამოსული იყო ნატაშა ჩხიკვაძე, რამაზის მეუღლე. ჯგუფში გვყავდა ხმის ოპერატორი ბეჟან შერეზადაშვილი, გამნათებელი ვალიკო არუთინოვი.

წარმოდგენის გასამრავალფეროვნებლად კულტურის მინისტრმა მომღერლებიც დაგვიმატა: მათ შორის–ეკა მამალაძე, თამრიკო ჭოხონელიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე ჩვენს ჯგუფს წონას მატებდა და ამ აქციის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა.

ამ დროს რობიკო სტურუა ინგლისში იყო მიწვეული სპექტაკლის დასადგმელად და, ბუნებრივია, სოხუმში ვერ ჩამოვიდოდა. ეს ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რადგან ვთამაშობდით ნაწყვეტებს სწორედ მის მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლებიდან: „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ III", „მეფე ლირი"...

სოხუმი რომ ფრონტისპირა ქალაქი იყო, ჩარტერული რეისით ჩაფრენისთანავე ვიგრძენით: ავტობუსი „იკარუსი", რომელიც დაგვახვედრეს, შემოვლითი გზებით ატარეს, ქალაქის ცენტრში რომ მივსულიყავით, მიგვაცილებდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც შესაძლო თავდასხმისგან უნდა დაეცვათ მგზავრები. არაფერი გამორიცხული არ იყო.

როგორც იქნა, მივაღწიეთ თეატრამდე. შენობის კარ-ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მოვნახეთ ადამიანი, რომელსაც თეატრის დარაჯობა ჰქონდა მინდობილი. გაერთიანებული ძალებით ჩამოვგლიჯეთ ფიცრები. შევედით შენობაში. ძნელი წარმოსადგენია, რაც იქ დაგვხვდა–ჭუჭყითა და მტვრით იყო სავსე თეატრი. რაც შეგვეძლო, გავწმინდეთ, დავბერტყეთ ფარდები, დავხვეტეთ სცენა, დარბაზი, მტვერი მოვაცილეთ სავარძლებს.

ტემპში ვმუშაობდით, რადგან წარმოდგენა დღისით უნდა გაგვემართა–ელექტროენერგიის გამორთვა სოხუმში ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული.

სამი საათისთვის მაყურებლებით გაივსო დარბაზი. ძირითადად ჯარისკაცები იყვნენ, ქალაქის მოსახლეობაც მოვიდა.

წარმატება არაჩვეულებრივი იყო, არნახული.

–წარმოდგენა რომ დამთავრდა, ეს ფოტოსურათი გადავიღეთ. განათება არ ყოფნიდა და, ცხადია, ხარისხიც დაბალია. ციფრული ფოტოკამერები კი იმ დროს საქართველოში ჯერ არ იყო შემოსული. ყველანი სურათზე ვართ აღბეჭდილი–მსახიობები, ჩვენი დამხმარენი და, რაც მთავარია, მაყურებლები–ქართველი ჯარისკაცები.

შეიძლება ითქვას, ისტორიული სურათია.

უკანა გზაზე, კელასურში, აეროპორტს რომ უახლოვდებოდნენ, ავტობუსი გააჩერებინა გენო კალანდიამ, ქართველმა პოეტმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და აფხაზეთის მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა. გააჩერებინა ავტობუსი, გადმობრძანება სთხოვა ყველას და ზურაბ შენგელაიას ოჯახში შეიპატიჟა: ბატონ გენოს თავისი დეიდაშვილისთვის უთხოვია, სტუმრები მყავს და აბა, შენ იცი, ღირსეული მასპინძლობა გამაწევინეო. ზურაბ შენგელაიას ქართველი კლასიკოსის ლეო ქიაჩელის შთამომავალს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას ბიძაშვილს, სულით ხორცამდე ქართული ტრადიციების ერთგულ კაცს, რაღა თქმა უნდა, ისეთი სუფრა გაუშლია, როგორიც პატივსაცემ სტუმრებს ეკადრებოდა, თავი არ შეურცხვენია. იმ გაჭირვებულ სოხუმში ასეთი გულუხვობა სასწაული იყო.

მაგრამ პური არ ცხვებოდა მაშინ ქალაქში და ბოდიში მოუხდია მასპინძელს ამის გამო.

ვალერი ასათიანს, „სოხუმის დესანტის" ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, ეს ნიუანსიც გაუთვალისწინებია და თვითმფრინავიდან, სადაც თბილისიდან წამოღებული საგზალი ეწყო, სულ კახური დედას პურებით შეუვსია ის მადლიანი სუფრა.

თამადად გენო კალანდია დამდგარა.

–ამასობაში ჩამოღამდა, მანქანის ფარებზე გავაგრძელეთ ნადიმი ჩვენ და ჯარისკაცებმა. არაჩვეულებრივი, არნახული დრო გავატარეთ, და ამ ტალღით ატაცებულებმა თვითმფრინავში გავაგრძელეთ სადღეგრძელოების თქმა,–**ყვება ჯემალ ღაღანიძე,**–თითქოს ომი არ იყო, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ჩვენი „იაკ-40" გამორთული ნათურებით აფრინდა, სეპარატისტების არტილერიის სამიზნე რომ არ გამხდარიყო.

თამადად ვალერი ასათიანი გვყავდა. მოგეხსენებათ, რა თამადაც არის, არაფერი შეშლია. მაგრამ დრო ვერ გათვალა და ბოლო სადღეგრძელოც ღირსეულად რომ შეესვათ თანამეინახეებს, მფრინავს სთხოვა, ერთი წრე კიდევ დაერტყა, შემდეგ დაშვებულიყო. „იაკ-40" ერთხელ კიდევ შემოვლო თავზე საქართველოს დედაქალაქს, ყველამ ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა მოვასწარით.

–რა სადღეგრძელო თქვით, ბატონო ვალერი?–ვეკითხები ვალერი ასათიანს.

–საქართველოს გაერთიანების სადღეგრძელო იყო. ბოროტზე კეთილის ძლევის.

–ბატონო ვალერი, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა იმ წარმოდგენის მსვლელობის დროს მაყურებელთა რეაქციისთვის მიგედევნებინათ თვალი.

გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, მაგრამ მანამდე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ჯგუფს სოხუმელები კელასურში დაგვხვდნენ. მათ შორის იყო ლორიკ მარშანია, გენო კალანდია, გენერალი ადამია და სხვები. გოგა ხაინდრავა, რომელიც მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო, პირდაპირ თეატრში მოვიდა, დაცვის თანხლებით, წარმოდგენაზე ბოლომდე ვერ დარჩა. აღელვებული და აფორიაქებული ჩანდა, რაც იმ ვითარებაში გასაგები და ბუნებრივი იყო.

არ მინდა სიტყვა „დაბნეულობა" ვიხმარო, მაგრამ როგორც პატარა ბავშვები, ისე სათუნი, თბილები და გულჩვილები ჩანდნენ ჩვენი ჯარისკაცები. ვერ გადმოგცემთ, რა დაემართათ, როცა დაგვინახეს: როგორც ძველ მეგობრებსა და ახლობლებს ეფერებოდნენ და ეხუტებოდნენ ჩვენს სახელგანთქმულ არტისტებს–რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ საღარაძეს, კახი კავსაძეს, ჯემალ ღაღანიძეს, ჟანრი ლოლაშვილს, სოსო ლაღიძე, ჩვენს ბრწყინვალე მსახიობ ქალბატონებს.

ვალერი ასათიანი, „სოხუმის დესანტის" ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, ეს ნიუანსიც გაუთვალისწინებია და თვითმფრინავიდან, სადაც თბილისიდან წამოღებული საგზალი ეწყო, სულ კახური დედას პურებით შეუვსია ის მადლიანი სუფრა.

თამადად გენო კალანდია დამდგარა.

–ამასობაში ჩამოღამდა, მანქანის ფარებზე გავაგრძელეთ ნადიმი ჩვენ და ჯარისკაცებმა. არაჩვეულებრივი, არნახული დრო გავატარეთ, და ამ ტალღით ატაცებულებმა თვითმფრინავში გავაგრძელეთ სადღეგრძელოების თქმა,–**ყვება ჯემალ ღაღანიძე,**–თითქოს ომი არ იყო, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ჩვენი „იაკ-40" გამორთული ნათურებით აფრინდა, სეპარატისტების არტილერიის სამიზნე რომ არ გამხდარიყო.

თამადად ვალერი ასათიანი გვყავდა. მოგეხსენებათ, რა თამადაც არის, არაფერი შეშლია. მაგრამ დრო ვერ გათვალა და ბოლო სადღეგრძელოც ღირსეულად რომ შეესვათ თანამეინახეებს, მფრინავს სთხოვა, ერთი წრე კიდევ დაერტყა, შემდეგ დაშვებულიყო. „იაკ-40" ერთხელ კიდევ შემოვლო თავზე საქართველოს დედაქალაქს, ყველამ ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა მოვასწარით.

–რა სადღეგრძელო თქვით, ბატონო ვალერი?–ვეკითხები ვალერი ასათიანს.

–საქართველოს გაერთიანების სადღეგრძელო იყო. ბოროტზე კეთილის ძლევის.

–ბატონო ვალერი, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა იმ წარმოდგენის მსვლელობის დროს მაყურებელთა რეაქციისთვის მიგედევნებინათ თვალი.

მედი ვარ. აი, ჩემი უნებლიე ბოროტმოქმედების მამხილებელი საბუთი (გადასცემს ჯარისკაცებს „საბუთს", რომლებიც მას უაზროდ ხელში ატრიალებენ). ხმა ამოიღე, შალვა, ხომ ხედავ, ამ ხალხმა კითხვა არ იცის. თქვი, შალვა, თქვი, როგორ ვცდილობდი მთელი ღამე, ამ ბოროტმოქმედისთვის ფარდა ამეხადა.

შალვა:–თან სულ მემუქრებოდა, ბატონებო...

აზდაკი:–ესეც იყო, ვერ დავმალავთ.

შალვა:–ჰოდა, ასეთი რამ არ გეკადრება, აზდაკ!

აზდაკი:–ხმა ჩაიწყვიტე, შალვა! შენ გავიწყდება, რომ ახალი დრო დადგა! პოლიციელებს მუსრს გაავლებენ. ახლა უმჯობესია, კაცმა თვითონ აღიაროს თავისი დანაშაული, თორემ ხალხის რისხვას ვერსად დაემალება! სად არის მოსამართლე, რომ მოვიდეს და გამასამართლოს! სად არის მისი აღმატებულება, ბატონი გუბერნატორი?..

ჯარისკაცი:–მაინც რას მოელოდი ჩვენგან?

აზდაკი:–რაც სპარსეთში მოხდა.

ჯარისკაცი:–მერედა, რა მოხდა სპარსეთში?

აზდაკი:–ამ ორმოცი წლის წინათ ყველანი ჩამოახრჩეს... ბაბუაჩემი თვითონ მოსწრებია ყოველივე ამას. სამ დღეში გაუულეტიათ ყველანი.

ჯარისკაცი:–მერედა, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, შე თათარო, შენა?

აზდაკი:–თქვენ გაინტერესებთ, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, მე თათარო, მენა?..

(და იწყება სპექტაკლის კულმინაცია, აზდაკის მონოლოგი-სიმღერა).

–ბაბუაჩემმა ეს სიმღერა დამიტოვა, მაშინ იქ, სპარსეთში ასე მღეროდნენ... მე და ჩემი მეგობრები გიმღერებთ. შალვა! შალვა! თოკი! თოკი მაგრად გეჭიროს, ბრიყვო! ეს სიმღერას უხდება. გთხოვთ!

რატომ ჩვენს კაცებს აღარა აქვთ ძარღვებში სისხლი?

ჩვენს ქალებს ცრემლი რატომ დაუშრათ?

და რატომ შერჩათ სისხლი სასაკლაოზე მიდენილ ხბორებს?

ცრემლი კი–წყლის ნაპირს მტირალ ტირიფებს?

რატომ?..

(და ჩხიკვაძის ბელკანტომ ჩამოიღო სოხუმის თეატრის ჭერი, აავსო სივრცე ომით დამუხტული და სიცოცხლის გამარჯვებად ჩაიღვარა ჩვენი მებრძოლების ანთებულ გულებში)

ქართული თეატრი ბრწყინვალებდა სოხუმის სცენაზე.

ფარდა დაეშვა...

„ნეტავი, იქ არის თეატრი?"

არმაზ სანებლიძე.

P.S. **ასეთია ერთი სპექტაკლის ისტორია, რომელიც ჩვენს მკითხველებს გავაცანით. ისტორია, რომელიც არ ჰგავს იმ ბღლარძუნშოუებს, ქართული ტელეეკრანები და სცენა რომ დაიპყრო სამწუხაროდ.**

უფრო საწუხარი კი ის არის, რომ იმ წარმოდგენის მონაწილეთაგან ზოგიერთი და დამსწრეთა უმეტესობა–ჯარისკაცები ჩვენს პუბლიკაციას ვერ გაეცნობა: ღმერთმა გაანათლოს მათი სულები!

ხობის საპატიო მოქალაქე



„ცოტნეობის" საერო-საეკლესიო დღესასწაული ხობელებისთვის უკვე სისხლხორცეული გახდა. ტრადიციულად ამ დღეს სხვა ღირსსახსოვარ ღონისძიებებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვან და აუცილებელ ტრადიციასაც ჩაეყარა საფუძველი. ესაა ხობის „საპატიო მოქალაქეთა" წარდგენა, როგორც ყოველთვის, ახლაც რამდენიმე ხობელი გახდა ამ ტიტულის–„ხობის საპატიო მოქალაქე" მფლობელი. მათ შორისაა ქალბატონი მერი აბრამია.

დიდებული ქალბატონი, ერუდიტი, პოეტი, პუბლიცისტი, მწერალი, უნიჭიერესი ფილოლოგი, რამდენიმე წიგნის ავტორი, საუკეთესო დედა...

ქალბატონო მერი, მოკლედ გვიამბეთ, ვინ არის მერი აბრამია–გზა, რომელიც თქვენ გაიარეთ?

–დავიბადე 1929 წლის თერთმეტ სექტემბერს, პირველ ხორგაში. „ოქროს მედალზე" დავამთავრე ხობის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. მისი დამთავრების შემდეგ, 1952 წლის აგვისტოში მუშაობა დავიწყე ხობის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1954 წელს დავინიშნე ალკკ. ხობის რაიკომის პიონერთა და მოსწავლეთა ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების გამგედ.

1960 წლის დეკემბერში პარტიის ხობის რაიკომის მდივნად ამირჩიეს, ერთი წლის შემდეგ მეორე მდივანი გავხდი.

1963 წლის დეკემბერში ჩვენი რაიონი გაუქმდა, ზუგდიდთან მიგვაერთეს, პარტიის ხელმძღვანელი აპარატი პირველი მდივნებით დაკომპლექტდა. მე თბილისში დავბრუნდი... მაშინ უკვე 3 შვილი მყავდა–ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ერთ კვირაში დედაქალაქის ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად დავინიშნე.

1971 წელს №1 სამკერვალო გაერთიანების პარტკომის მდივნად ამირჩიეს. შვიდ საამქროში 2450 მუშა, ტექნიკური პერსონალი და ხელმძღვანელობა მოღვაწეობდა. ბევრი ისეთი ღონისძიება დავსახეთ, ისეთი წესი დავნერგეთ, რომლებიც შემდგომ ტრადიციად იქცა.

...საქართველოს კპ 24-ე ყრილობა უნდა ჩატარებულიყო, როგორც გამარჯვებული სამრეწველო ორგანიზაციის პარტკომი, ყრილობის დელეგატად და მისი სამანდატო კომისიის წევრად ამირჩიეს.

1971 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი ედუარდ შევარდნაძე გახდა.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, პირველი რეფორმა ვაჭრობის სისტემაში გატარდა. სადაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ გაგზავნილიქნენ ქალბატონები, რომლებიც ადრე პარტიულ სამუშაოზე იყვნენ. სიაში მეც მოვხვდი. დავინიშნე ქალაქის მესამე სურსათის ვაჭრობის დირექტორად.

სამოქალაქო თავდაცვის საქმეშიც შევიტანე წვლილი. ვიყავი ამ რაიონების მოსახლეობის ევაკუაციისა და საკვები პროდუქტებით მომარაგების სამსახურის უფროსი.

1977 წელს სამუშაოდ გადავედი კვების მრეწველიბის სამინისტროს კადრების უფროსის მოადგილედ, 1980 წელს გადამიყვანეს დამზადების სამინისტროს განყოფილების გამგედ, 1985 წელს პენსიაზე გავედი.

ამ პერიოდში ქ. ფოთში ტარდებოდა ექსპერიმენტი: ქალაქი უნდა გადასულიყო თვითმმართველობაზე. ამ პერიოდში დავინიშნე ფოთის წისქვილ-ქარხნის დირექტორის მოადგილედ. მე და ჩემმა თანამოაზრეებმა აქ ბევრად შევცვალეთ მუშათა ყოფისა და შრომის პირობები.

1992 წლის აპრილში გარდამეცვალა მეუღლე, ოთარ წურწუმია. იგი მხოლოდ 62 წლისა იყო.

1992 წლის აგვისტოდან მუშაობა დავიწყე ჩემი სოფლის, პირველი გურიფულის ოთხკლასიანი სკოლის გამგემასწავლებლად. 1994 წლიდან ეს სკოლა, რომელშიც ჩემამდე 8 მოსწავლე და სამი მასწავლებელი იყო, ჩემი ინიციატივით და კოლექტივის მხარდაჭერით სკოლა-გიმნაზიად გადაკეთდა, რომელშიც 78 მოსწავლე და 16 მასწავლებელი ირიცხებოდა. ამ პერიოდისთვის სოფელში არ არსებობდა არც ერთი სკოლისგარეშე დაწესებულება, საგანმანათლებლო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო ობიექტი, არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი. ტიპიური შენობა დანგრეული იდგა და ჩვენი პატარები ხობის მეორე და მესამე საბავშვო ბაღებში დაჰყავდათ მშობლებს დაქირავებული სამარშრუტო ტაქსებით. ხალხს დაავიწყდა

საეკლესიო დღესასწაულები, ეკლესია და მრევლი დაშორდა ერთმანეთს. II გურიფულის მცხოვრები ქალბატონის ფერიდე გოგიას, I გურიფულის რწმუნებულის ბატონი მურმან გვასალიას და აქვე მცხოვრები რომან გვასალიას ხელშეწყობით აღვადგინეთ საეკლესიო დღესასწაული „კვირიკობა" (28 ივლისი). ჩავატარეთ ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ფეხბურთი, მარულა, ნახატების, ძველი ფოტოსურათებისა და ნაქარგების გამოფენა. ამ დღეს გადავწყვიტეთ, აღგვედგინა 30-იან წლებში დანგრეული წმიდა ივლიტესა და კვირიკეს სახელობის ეკლესია. მალე სიტყვა საქმედ ვაქციეთ და 2009 წლის შემოდგომაზე დავიწყეთ ეკლესიის აღდგენის სამუშაოები. აღდგენითი სამუშაოები ტარდება მრევლის მიერ. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ფოთისა და ხობის ეპარქიამ, მეუფე გრიგოლმა, მამა თევდორემ და ინჟინერმა ანდრიამ, საპატრიარქოს არქიტექტურულმა სამმართველომ, ნანა აბრამიამ და რევაზ ჯანაშიამ, სეისმურმა ინსტიტუტმა (ბატონმა პაატა რეკვავამ), რომლებიც წარმოშობით ხობელები არიან. ჩქარა ეკლესიის გადახურვის სამუშაოები დამთავრდება.

პირადად ჩემი დახმარებით სტუდენტები გახდნენ ნათია და ჟანა ქანდარიები, ავთანდილ და ნათია ქანდარიები, შორენა კვარაცხელია. ისინი სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ, ხოლო ხათუნა ვადაქარია სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, თუმცა მძიმე ოჯახური პირობების გამო ვერ დაამთავრა იგი.

მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას დახმარებით აღვადგინეთ საბავშვო ბაღის შენობა და მან ფუნქციონირება დაიწყო.

ამ საქმეთა ხორცშესხმის გარდა ვხელმძღვანელობდი საქველმოქმედო შემოქმედებით საქმიანობას...

გამოქვეყნებული მაქვს 3 რომანი („მოტაცებული ამორძალი", „ცოდვამადლიანი წუთისოფელი", „ვერცხლის სამაჯური"), ორი მონოგრაფია (რუსეთ-საქართველოს ომის დროს სენაკის სამხედრო ბაზაზე დაღუპული მიხეილ იოსავასა და დათა ხურცილავაზე), 100-მდე ლექსი, მრავალი პუბლიკაცია.

ქალბატონო მერი, რას გვეტყვით თქვენს რეგალიებზე?

–სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისთვის მიღებული მაქვს „საპატიო ნიშნისა" და „ღირსების" ორდენები. გახლავართ ეროვნული სამეცნიერო აკადემია „ფაზისის" აკადემიკოსი. მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას" აკადემიკოსი 2014 წელს ქართული ელიტის „წლის პოეტის" წოდება მომენიჭა. ასევე ილია მართლის (ჭავჭავაძის) და გაზეთ „ივერიის" სახელობის პროზა-პოეზიის პრემიის ლაურიატის წოდება, თანასოფლელებმა ყველა სიკეთის საზღაურად სოფელ „გურიფულის ღირსეული შვილი" შემარქვეს...

და რა არის თქვენთვის ხობელობა–„ხობის საპატიო მოქალაქის" წოდება?..

–ამჟამად „ხობის საპატიო მოქალაქე" გავხდი. ეს წოდება ჩემთვის დიდი პატივია. მე ხობელი ვარ. აქ დავიბადე, გავიზარდე, აქ შევქმენი ოჯახი, აქ შევიძინე ყველა ის თვისება, რითაც შემიძლია ვიამაყო. დიდიხანია ვემზადები ამისთვის. ყველა ჩემი საქმე, რაც განვახორციელე, ხობელებს მივუძღვენი, ვგრძნობ მათ თბილ, სიყვარულით სავსე გამოხედვას, მათ გულწრფელ აღტაცებას და ეს უზომოდ მახარებს.

მადლიერი ვარ ხობელების მიერ ჩემი მცირე ღვაწლის ასეთი დაფასებისთვის. ვპირდები მათ, კვლავაც ვიქნები ხობელების სამსახურში, რომ იცოდეთ, ჯერ მხოლოდ 87 წლისა ვარ, სიბერემდე კიდევ დიდი დროა!

მინდა თითოეული თქვენთაგანს ვუთხრა ბატონი ვაჟა ეგრისელის–ხობელების საყვარელი ადამიანის სიტყვები „ხობი ჩემია, მას ვერავინ წამართმევსო" და ხობის ამშენებლისა და დამამშვენებლის ბატონ ნუგზარ ნადარაიას შემოძახილი:

„იწამეთ ღმერთი და გიყვარდეთ ერთმანეთი!"

ჩემდათავად ილია მეორეს სიტყვებით მოგიწოდებთ: „ქართველნო, ერთად ღვთისკენ, ამინ!

ქალბატონო მერი, გისურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს!

–მადლობა! მადლობა ყველაფრისთვის!

ესაუბრა
ნანი კილასონია.

„სიბერემდე კიდევ დიდი დროა!"

P.S. გაზეთში ინტერვიუს გასვლამდე ქალბატონი მერი აბრამია იუბილარი გახდა. რედაქციელები ვულოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ და ლამაზ დღეთა სიმრავლეს ვუსურვებთ თავის მონაგართან ერთად.

ლამაზო და ღირსეულო ქალბატონო, გილოცავთ და გკოცნით თქვენი

რედაქციელები.

ხობის საპატიო მოქალაქე

საფრანგეთიდან—ხობში

წარმოგიდგენთ, „ხობის საპატიო მოქალაქე", გია გურულს.

ბატონი გია 80-იან და 90-იან წლებში თამაშობდა ჯერ თბილისის „დინამოს" დუბლებში, შემდეგ ძირითად გუნდში, ასევე იყო ბათუმის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიაში". 1990 წლის მიწურულს პოლონეთის „გკს კატოვიცეში" გადავიდა, რომელიც იმ დროს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ჯლუბი იყო. შემდეგ მოხვდა ფრანგულ „ლე ავრში", რომელიც მისი ჯარიერის პიკი გახლდათ. ბოლოს კი შედარებით მოკრძალებულ ფრანგულ გუნდებში, „დანკერსა" და „ჯალეში" ითამაშა.

გურულს საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია და ნაკრების ისტორიაში პირველი გოლი სწორედ მის ანგარიშზეა (ლიტვასთან 2:2). შემდეგ, ალენ ჭირესის თანაშემწე იყო ნაკრებში.

თუ როგორ მოხვდა გია გურული ხობში, რას საქმიანობს ის ამჟამად, რა სამომავლო გეგმები აქვს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

ბატონო გია, ხობელები თქვენს პიროვნებას კარგად არ იცნობენ, გაგვეცანით...

–შეიძლება, უფრო ახალი თაობა, ძველ თაობას ფეხბურთიდან ვემახსოვრები.

1981-90 წლებში თბილისის „დინამოში" ვთამაშობდი, 1981 წლის ივნისში მიმიყვანეს, რა თქმა უნდა, დუბლებში. რა ხდებოდა იმ დროს „დინამოში" და რა ოქროს პერიოდი ედგა, მგონი, ზედმეტია ლაპარაკი. ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა მითხრა, მოდი, ჯერ ბათუმის „დინამოში" სათამაშო პრაქტიკის მისაღებად გაგიშვებთ და დაგაბრუნებთო. ასეც მოხდა, ერთი წელი ბათუმში ვიყავი და დამაბრუნეს. ალმა-ათაში თბილისის „დინამოს" დუბლებში გოლი გავიტანე, შემდგომ მატჩში კი ტაშკენტის „ფახთაქორთან" ძირითად გუნდში მათამაშეს. ასე შედგა ჩემი დებიუტი, არადა, ჯერ 18 წლისა ვიყავი. ასე რომ, ერთი სეზონი ბათუმში ვიყავი, შემდეგ იყო პერიოდი, როცა ერთი წელი ლანჩხუთის „გურიაში" ვითამაშე, დანარჩენი პერიოდი კი, 1990 წლის ბოლომდე თბილისის „დინამოში" გავატარე.



1990 წელს საქართველოდან წავედი. პირველი ფეხბურთელი ვიყავი, რომელიც თბილისის „დინამოდან" უცხოეთში გადავიდა. მაშინ ეს რთული იყო. პოლონეთში ამხანაგური მატჩები გვქონდა და „გკს კატოვიცემ" მთხოვა დავრჩენილიყავი. ცხონებულმა დავით ყიფიანმა მათ უთხრა, ჩემპიონობისთვის და თასისთვის ვიბრძვით, ჯერ არ გვინდა გაშვებაო. ისე მოხდა, რომ ტრავმა მივიღე, მაგრამ პოლონურმა კლუბმა წამომიყვანა და დეკემბერში ოპერაცია გამიკეთეს. მომცეს 500 დოლარი, რაც მაშინ, დიდი ფული იყო. ეს იმისთვის, რომ ჩავსულიყავი საქართველოში, დამესვენა და ისევ დავბრუნებულიყავი. 3 კვირაში დავიწყე „გკს კატოვიცეში" ვარჯიში, გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი, ვთამაშობდი და თებერვალში ისევ ტრავმა მივიღე. არადა, კონტრაქტი იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ მქონდა გაფორმებული. კლუბის პრეზიდენტმა მითხრა: „გია, არ გეწყინოს, ბიზნესმენი ვარ და იმიტომ მოგვყავს ფეხბურთელები, რომ შემდეგ უფრო ძვირად გავყიდოთ, მაგრამ შანსს გაძლევ, შენი მჯერა და გენდობი. ამიტომაც, გავაფორმოთ ხელშეკრულება". კიდევ ერთი ოპერაცია გამიკეთეს, მერე კი გამოვჯანმრთელდი და კარგად ავთამაშდი. პოლონეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი გავხდი, თასი მოვიგეთ და სუპერთასიც მივაყოლეთ.

პოლონეთის ჩემპიონატი ტრამპლინი იყო. იქაურ მატჩებს ხშირად ესწრებოდნენ გერმანიის, იტალიის, ინგლისის, ესპანეთის და საფრანგეთის კლუბების სკაუტები. „ლე ავრის" წარმომადგენელს მოვეწონე და ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მკითხა: გაგიგია „ლე ავრი"? ვუპასუხე, არა-მეთქი. ამიხსნა, რომ მეშვიდე ადგილზე იყვნენ და ჩემი გასინჯვა უნდოდათ. წავედი და მაშინ საფრანგეთის ლიგის თასზე იყო წესი, რომ შეეძლოთ, უკონტრაქტო ფეხბურთელიც ეთამაშებინათ. „ლილთან" დამაყენეს, 2:1 მოვიგეთ, საგოლე პასი გავაკეთე, კარგად ვითამაშე და გადაწყვიტეს, რომ კონტრაქტი გაეფორმებინათ. ბოლოს კი შედარებით მოკრძალებულ ფრანგულ გუნდებში, „დანკერსა" და „კალეში" ვთამაშობდი. დღეს კი აგერ ვარ ხობში და ჩემს გამოცდილებას ხობელ ფეხბურთელებს ვუზიარებ.

ჩაგეკითხებით, ხობის „კოლხეთის" მწვრთნელობა თქვენი სურვილი იყო?

–ბოლო პერიოდში სურვილი მქონდა, რომ მწვრთნელობას დავბრუნებოდი, მსურდა ჩემი ევროპული გამოცდილება ქართველი ფეხბურთელებისთვის გამეზიარებინა. საფრანგეთში ვცხოვრობდი, როდესაც ჩემმა მეგობრებმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ და ბატონმა იგორ გოგოლაძემ (თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში ერთ კლასში ვსწავლობდით) დახმარება მთხოვეს, უარი ვერ ვუთხარი და ასე მოვხვდი საფრანგეთიდან ხობში.

როგორ ფიქრობთ, თქვენი მოსვლით რა შეიცვალა ხობის „კოლხეთში"?

–ყველა მწვრთნელს თავისი ხელწერა აქვს, ცდილობს ის კარგად გამოიყენოს. ჩემი პირველი მიზანი იყო, ბიჭებისთვის ჩამენერგა ის, რასაც თანამედროვე ფეხბურთი მოითხოვს. დისციპლინა და თავდაჯერებულობა, შრომითა და თავდადებით მიზანს მიგვეღწია.სიმართლე გითხრათ, არ იყო ადვილი, მაგრამ მწვრთნელების და ფეხბურთელების ერთობლივმა შრომამ შედეგი გამოიღო. ყველაზე საამაყო ის არის, რომ 99% ხობელი იყო გუნდში და ეს უფრო მატებდათ ხობისთვის, ახლობლებისთვის და მეგობრებისთვის თავდადებას.

ხობის „საპატიო მოქალაქის" წოდებაზე არც თუ ისე ცოტა წარჩინებული და წარმატებული ხობელი ოცნებობს, წელს „ცოტნეობის" დღესასწაულზე ეს წოდება თქვენ დაიმსახურეთ...

–ეს ერთ-ერთი დიდი პატივია ყველა ადამიანისთვის და მადლობელი ვარ ყველა იმ პიროვნების, ვინც ამ პატივის ღირსი გამხადა. ყველას, ალბათ, ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ უნდა აღვნიშნო ის ადამიანები, ვინც ჩემი კანდიდატურა წარადგინეს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ხობის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას და ხობის გამგებელს ბატონ გოგი ქაჯაიას.

რას მეტყოდით ხობზე და ხობელებზე?

–საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა და დღესაც გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. ხობი და ხობელები ამ მხრივ განსაკუთრებულები არიან. ადრეც მქონდა გაგონილი, რომ ხობში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობსო, ამაში მე უკვე დავრწმუნდი, ხობელებმა გულში ჩამიხუტეს და თავისიანად მიგულეს. ეს წოდებაც მათი სიყვარულის გამოძახილია. ყველა ხობელს მინდა მოვეფერო და მადლობა ვუთხრა, რომ ასეთი კარგები არიან.

და ბოლოს, თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?

–მაქსიმალურად ვიხარჯებით, რომ მოვხვდეთ PROII (პრო2) ში. ეს არის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პროექტი, რომელიც 2017 წლიდან დაიწყება.

გმადლობთ ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა
ნინო გერგაია

ღვაწლმოსილნი

ცხოვრემა თავისი დინემით მიდის და ამ გრძელ, დაუსრულემელ გზაზე ადამიანი ვალდემულია სიკეთე თესოს, სწამდეს ღმერთის და ზრუნავდეს მერმისზე.

დიახ! ამ კრედოს კვლავაც და კვლავაც ერთგულად იცავს ქალბატონი მზისადარ გელანტია, მრავალი თაობის აღმზრდელი, დამსახურემული პედაგოგი, მეგრი ჯილდოს მფლობელი. თემცა ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ის სიყვარული, ავტორიტეტი და საყოველთაო აღიარემაა, რომელიც მან საზოგადოე-მაში დაიმსახურა. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.

გიყვარდეს მოყვასი შენი

ქალბატონო მზისა! პირველ რიგში მსურს გისურვოთ ჯანმრთელობა, სიმხნევე, ლამაზ დღეთა სიმრავლე, თქვენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. მინდა ჩვენი დღევანდელი ინტერვიუ ეხებოდეს არა მარტო თქვენს პროფესიულ საქმიანობას, არამედ ზოგადად ყველაფერს.

რა გრძნობა გეუფლებათ სექტემბრის დადგომასთან ერთად?

–პირველი სექტემბერი ჩემი დაბადების დღეა, წლების მანძილზე იგი იყო სასწავლო წლის დასაწყისი და ეს დამთხვევა რაღაცნაირად სიმბოლურია ჩემს ბიოგრაფიაში. თითქოს იმთავითვე განისაზღვრა ჩემი პედაგოგიური კარიერა. ჩემთვის ეს დღე, როგორც ახალი სასწავლო წელი, იყო მარადი განახლების საწინდარი, ახალი ძალებით. ახალ შრომით სემესტრებთან ჭიდილის ათვლის წერტილი.

რამ განაპირობა თქვენი არჩევანი–შინაგანმა ხმამ, მოწოდებამ, თუ რომელიმე მასწავლებელმა?

–ვსწავლობდი სოფელ გურიფულის რვაწლედში, შემდეგ ფოთის მე-6 საშუალო სკოლაში, რომელიც 1958 წელს დავამთავრე. მყავდა გამორჩეული პედაგოგები: თამარ კანკავა, მარიამ კორტავა, ბეგლარ ჭითანავა, ღუღუნი წითლიძე, სევერიან სხულუხია, თამარ გაბუნია, ნელი ჩიქოვანი, პეტრე მიმინოშვილი, ჩვენი დამრიგებელი–მედეა ქავთარაძე. მასწავლებლობა ჩემი მოწოდება იყო. თოჯინები ჩემი მოსწავლეები იყვნენ. ეხლა ღიმილს მგვრის ეს მოგონებები. მასწავლებლობა იყო სწორედ ის, რაც მთელი გულით მინდოდა.

რას იტყვით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი. ყველაზე მეტად რა თვისებები უნდა ჰქონდეს მას, ერთი სიტყვით, დაგვიხატეთ თანამედროვე მასწავლებლის პორტრეტი.

–პირველ რიგში საჭიროა განათლება, პროფესიული მომზადების დონე; პედაგოგს, უნდა შეეძლოს თითოეულ მოსწავლეში პიროვნების ამოცნობა, ალღომ უნდა უკარნახოს მასთან ურთიერთობის წესი, უნდა შეეძლოს მისი წარმოჩენა საუკეთესო კუთხით, მისი აშკარა თუ ფარული უნარ-ჩვევების, ტალანტის მაქსიმალურად გამომზეურება.

რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ განათლების დღევანდელ სისტემაში?

–დაწყებით კლასებზე ვისაუბრებ, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, როდესაც ამ ასაკისთვის გათვლილ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობენ არასპეციალისტები. საბოლოო ჯამში ეს სახელმძღვანელოების ხარისხზე აისახება. პროგრამა ხშირად გართულებულია და არაა გათვლილი ე.წ. საშუალო მოსწავლეზე. 1998 წელს ვიყავი გერმანიაში, სადაც ვსტუმრობდი ადგილობრივ სასწავლებელს. დაწყებითი კლასების პედაგოგმა ძირფესვიანად გამაცნო სასკოლო პროგრამები, ადაპტირებული ადრეულ ასაკზე. საქართველოში არსებული სახელმძღვანელოებიდან, მათთან ყველაზე მიახლოებული იყო ბატონი ბაკურ სულაკაურის კრებულები დაწყებითი სწავლებისთვის. მე პირადად ამ წიგნებით ვხელმძღვანელობდი ჩემი პედაგოგიური კარიერის განმავლობაში. ისინი სწორედ ე.წ. საშუალო მოსწავლეებზე არიან გათვლილნი.

რის მიხედვით იხსენებთ ყოფილ მოსწავლეებს, გაქვთ თუ არა ურთიერთობები მათთან, რას ეტყვით მათ?

–ჩემი ყოფილი მოსწავლეები ჩემთან ურთიერთობას წლების მანძილზე აგრძელებენ. მათი სტუმრობით განებივრებული ნამდვილად ვარ. ვინახავ ფოტოალბომებს, მათ ჩანაწერებს. ჩემთვის მოსწავლეები იყვნენ ინდივიდები, პიროვნებები. სწორედ მათი ინდივიდუალურობისა და განსაკუთრებულობის გამო დაიდეს მათ ბინა ჩემს გულსა და მეხსიერებაში. ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს: მამა ილია ლომაია, როზეტა შულაია, დაჩი (ირაკლი) ბერაია, ჯილდა ჯობავა, მერი თამლიანი, ეკა ლომსაძე, დათო ქაჯაია, თამარ ჭაჭია, ლევან სამუშია, ნინო შელია, თამარ ალექსანდრია, შოთა თუთბერიძე, ვატო სერგია, ანა სერგია, ანი სხულუხია, გიორგი ვარდია, ცოტნე ქირია, კარლო ვარდია, ნინო კორტავა...

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და გამოვკვეთო ირაკლი (დაჩი) ბერაია, რომელიც ამჟამად ხობის რაიონში წარდგენილია მაჟორიტარ დეპუტატად „ქართული ოცნების“ მიერ. დაჩის გაწონასწორებული ხასიათი, პიროვნების გამოკვეთილი ნიშნები, სიდინჯე და სიმშვიდე, პასუხისმგებლობის მაღალი დონე, შრომისმოყვარეობა და თანატოლებისადმი ლმობიერი და მეგობრული დამოკიდებულება იმთავითვე იპყრობდა ჩემს ყურადღებას და იმედს მაძლევდა, რომ ზრდასრულ ასაკში მის ბიოგრაფიაში არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი შეივსებოდა. მოლოდინები მართლდება. დაჩის, არჩევნებში წარმატებულ მარათონს ვუსურვებ. მჯერა, რომ იგი ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის საქმეში თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს.

რა უნდა ვისწავლოთ, რა უნდა შევინარჩუნოთ?

–ასე თქმულა–„ახალ ღვინოს ახალ ჭურჭელში ასხამენ“, ამიტომაც დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ და დღევანდელობის შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოვიმუშაოთ; ვიყოთ მუდამ ინფორმირებულები ჩვენს ირგვლივ მიმდინარე ცვლილებებზე, დროის მაჯისცემას ავუწყოთ ფეხი...

როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა სრულყოფილებას?

–მუდმივად ახლის ძიება, მუხლჩაუხრელი შრომა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა ადამიანს სრულყოფილებისკენ მიმავალ გზებს უკვალავს.

შეიცვალა თაობა, ზნეობრივი ღირებულებები?

–ზნეობრივი ღირებულებები არა, მაგრამ თაობები ცხადია, იცვლებიან და ეს ბუნებრივიცაა. ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია, ყველაფერ ამაზე ზეგავლენას ახდენს, სამყარო სხვაფერდება.

რისი გეშინიათ?

–შიში თუკი გონივრულია, იგი სიკეთეა, ხოლო ამაო და ფუჭი ეჭვები ადამიანის სულს ამძიმებს. ყოველთვის მეშინოდა უსამართლოდ არ მოვქცეოდი მოყვასს, ვინმესთვის, თუნდაც უნებლიედ, ტკივილი არ მიმეყენებინა.

საუკეთესო წლები თქვენს ცხოვრებაში

–ყოველ ასაკს თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ გამოვარჩევდი ბავშვობის წლებს. მამა ადრეულ ასაკში დამეღუპა და ჩემთვის ძვირფასია ის წლები, როცა მისი სიახლოვით განებივრებული ვიყავით დედამამიშვილები.

სიტყვები, რომლებიც მუდმივად გახსოვთ

–სახარებისეული სიბრძნე –გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. „იყუარებდეთ ურთიერთას“.

რთული და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდით, ხართ წარმატებული ქალბატონი, რაშია თქვენი აზრით წარმატების საიდუმლო?

–ვიყავი მუდამ გულწრფელი საკუთარი თავისა და უფლის წინაშე, მიყვარდა მთელი გულით ჩემი საქმე, ჩემი მოსწავლეებისთვის არასოდეს მიღალატნია.

თქვენი საყვარელი სტროფები

–კონსტანტინე გამსახურდიას ლექსი, „მარია სტელლა“.

გამსახურდია პროზაში უფრო ძლიერი იყო, თუმცა მისი ეს ლექსი განუმეორებელია!!

სურვილები, რომლის ახდენასაც ისურვებდით.

–ჩემი შვილებისა და მოსწავლეების–ისინიც ხომ თავისებურად ჩემი შვილები არიან–ნათელი და უზრუნველი მომავალი; ჩვენი სამშობლოს აღორძინება და მშვიდობა კაცთა შორის.

ესაუბრა
მანანა შულაია.

მათ სიკეთის სამოსი ამშვენებთ

რა არის მათემატიკა? ზუსტი მეცნიერება თუ უფრო მეტი მნიშვნელობის მომცველი ცნება? ზოგისთვის მათემატიკა ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც თუ გიყვარს, შენი ენერგიით აცოცხლებ და იმ მთავარ აზრს შესძენ მასში რომ არის ჩასახული, ხოლო თუ არ გიყვარს ან უბრალოდ, არ გესმის მისი, როგორც ცოცხალი სისტემის, მაშინ შენი მცდარი ხედვა მომაკვდინებლად იმოქმედებს ამ მეცნიერებაზე და რაღაც უბრალო მტკიცებულების სისტემად იქცევა.

ამ რთულ და საოცრად საინტერესო საგნის მიმართ ინტერესი საკმაოდ ზრდასრულ ასაკში ჩამოუყალიბდა ძველი ხიბულის საჯარო სკოლის დამსახურებულ პედაგოგს, თავისი საგნის ბრწყინვალე სპეციალისტს, ახალბედა პედაგოგთა დამკვალიანებელს, ჭეშმარიტ მოძღვარს, მაღალკვალიფიციურ მათემატიკოსს, ბატონ **ჯარნაზ ჯიშკარიანს**.

იგი ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში დაიბადა. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

მუშაობა დაიწყო ძველი ხიბულის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, ერთხანს იყო სასწავლო ნაწილის გამგე, იგი დღემდე ენერგიულად აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. მისი მოსწავლეები ყოველ წელს მონაწილეობენ მათემატიკის რესპუბლიკურ ტურებში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. მიღებული აქვს ორი პირველი ხარისხის დიპლომი და 40 ქების სიგელი. საქართველოს რესპუბლიკის „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და რაიონის გამგეობიდან ხუთჯერ ფასიანი საჩუქარი.

ბატონი ჯარნაზის მეუღლე, მასწავლებელთა მასწავლებელი ქალბატონი **ეთერ მიქავა**, მათემეტიკოსი გახლავთ. იგი დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ აბედათში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. პირველი პედაგოგიური ნათლობა ძველი ხიბულის საშუალო სკოლაში მიიღო, თავისი ბედიც დიდებულ პიროვნებას–ჯარნაზ ჯიშკარიანს დაუკავშირა და მტკიცე ოჯახი შექმნა.

უკვე რვა ათეულ წელს გადაცილებული ქალბატონი დღესაც შესაშური ენერგიითა და შემართებით მიჰყვება ქვეყნის მაჯისცემას. მართალია, მისი გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ ბუნებით აქტიური ქალბატონი გაბედულიც იყო და რისკიანიც. მან თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი მოსწავლე-ახალგაზრდობაზე ფიქრსა და ზრუნვაში გაატარა. ამ ხნის მანძილზე მაღალი პასუხისმგებლობით ზიდა განათლების მუშაკის საპატიო ტვირთი და თავისი წვლილი შეიტანა ამ სფეროს განვითარებაში.

ჩინებულ პედაგოგებს ოჯახიც სანიმუშო აქვთ. შვილები ლეონი, ნესტანი, გელა, თამარი მათემატიკოსები არიან. არ უღალატეს ოჯახურ ტრადიციას და ოთხივე შვილი მშობლების კვალს გაჰყვა. უფროსმა შვილმა ლეონიმ ჯერ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ივონოვოში, ქალაქ შეიამის უნივერსიტეტში, სადაც გელა, ნესტანი და თამარი სწავლობდნენ.

გელა დოცენტია, თამარი პროფესორი და ამავე უნივერსიტეტში წარმატებული ადამიანები არიან. ნესტანი ფოთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და სერთიფიცირებული მასწავლებელია.

შვილიშვილი გიორგი ჯიშკარიანი ბრწყინვალე საქსაფონისტია, ის მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაშია მიწვეული.

ძნელია ერთ პატარა საგაზეთო სტატიაში ჩაატიო დამსახურებული ადამიანების ცხოვრების თუნდაც მცირე მონაკვეთი, რადგან ასეთი ადამიანები მეტად დატვირთული რიტმით ცხოვრობენ, შრომობენ და დღესაც ახერხებენ წვლილი დადონ საერთო საქმეში.

დღეს კი ერთერთი მათგანის ჯარნაზ და ეთერ ჯიშკარიანების არაჩვეულებრივი ოჯახი წარმოგიდგინეთ. მათ უმთავრეს ღირსებას ოჯახი და სასახელო შვილები წარმოადგენენ. მთავარი ის კი არ არის, რომ ოთხივე მათგანმა უმაღლესი განათლება მიიღო და წარმატებით მოღვაწეობენ. არამედ ის, რომ დღემდე მშობლების ოჯახური ტრადიციების მატარებლები არიან, სწორედ ოჯახმა ჩამოაყალიბა ისინი ნამდვილ ადამიანებად.

ნათქვამია, ადამიანი იმით ფასობს, რა საქმესაც აკეთებსო. ბატონი ჯარნაზისა და ქალბატონი ეთერის გაკეთებული საქმეები ადასტურებენ მათ ადამიანობას. სოფელში წინაპართა კერაზე ცხოვრობენ სიყვარულით, ულამაზესი ოჯახის ბურჯები თავიანთი ნაშიერებით და დღესაც კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას აძლევენ ახალგაზრდა კოლეგებს. მინდა, მათ ყველა ოცნების ახდენა ვუსურვო და ვუთხრა, რომ სიკეთე ერთგვარი სამოსელია, რომელიც არასოდეს ცვდება, რომ მათ დღემდე სიკეთის გაუცვეთელი სამოსი აცვიათ.

ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი დაირეკა. თქვენ, ძვირფასო მასწავლებლებო, კიდევ გაქვთ შესაძლებლობა თქვენი ცოდნა და ენერგია მომავალ თაობას მოახმაროთ.

ნაირა ბერაია.

გამოსათხოვარი



შალვა ხარებავა

კიდევ ერთი ღირსეული, თვალსაჩინო ადამიანი გამოაკლდა ხობის მუნიციპალიტეტს... სრულიად საქართველომ დაკარგა გამორჩეული და ღვაწლმოსილი პედაგოგი, მოსწავლე ახალგაზრდობის უსაყვარლესი ადამიანი, ამაგდარი პიროვნება.

შალვა ხარებავას გარდაცვალებამ გული ატკინა ყველას, ვინც კი მას იცნობდა. ჩვენ, მისი კოლეგები, №1 საჯარო სკოლის პედაგოგები, მთელი კოლექტივი შეგვძრა ბატონი შალვას მოულოდნელმა სიკვდილმა. მიუხედავად მძიმე სენისა, მაინც იმედიანად ვიყავით, რადგან მკურნალობის პროცესს გადიოდა და არც ისე უიმედოდ, მაგრამ ყველაზე უკეთ თვითონ იცოდა, როგორც ჩანს, რა მუხანათი იყო მისი მომავალი დღეები.

უაზრო ტანჯვას, ტკივილებს გასწრო. თავისივე ნებით, მარადისობის გზას დაადგა. როგორი დასანანია ჩვენთვის და ყველასთვის ეს ნათელი კაცი ასეთი აღსასრულისთვის. რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, თბილი სიტყვებით მივაგოთ პატივი მის ხსოვნას...

შალვა ხარებავამ ჩვენი სკოლა დაამთავრა. აქ დაბადებულმა სამუდამოდ ხობში აირჩია სამკვიდრო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღწვოდა. ძირითადი მისი საქმიანობა პედაგოგიური მოღვაწეობა იყო.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც მათემატიკის მასწავლებელი, დაუბრუნდა ხობის საშუალო სკოლას, ჩაიბარა პირველი სადამრიგებლო კლასი, რომლებიც განსხვავებული სიყვარულით იხსენებდნენ შალვა მასწავლებელს, მის განუმეორებელ ადამიანურ ღირსებებს და პროფესიულ დონეს. ყველა თაობისთვის ერთნაირად ტკბილმოსაგონარი და დაუვიწყარი, მოუშუშებელი ტკივილია კოლეგებისთვის, რომელთა შორის ბევრი მისი ყოფილი მოსწავლეა, მისი თაობიდან დარჩენილებისთვის კიდევ უფრო მძიმეა ბატონი შალვას წასვლა ამქვეყნიდან, მათ კიდევ უფრო მეტი იციან, მეტი ახსოვთ და მეტადაც ტკივათ...

ახალგაზრდებისთვის დაუვიწყარია მისი ზრუნვა მათი დასაქმებისთვის, წინსვლისთვის, რაც შეეძლო არავის აკლებდა ყურადღებას. არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება ადრე გარდაცვლილი დედისადმი, რომლის გახსენებაზე, უკვე ასაკში მყოფსაც თვალებში ცრემლი ჩაუდგებოდა...

ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ სამძიმარი და ნუგეში ვუთხრათ მის შვილებს, შვილიშვილებს, ნათესაობას, ჩვენც ვინუგეშოთ თავი იმით, რომ შალვა ხარებავასნაირი ადამიანის გვერდით გვიცხოვრია, გვიღვაწია და გვაქვს პატივი, მის მომგონებელთა შორის ჩვენც ვიყოთ.

მსუბუქი იყოს ბატონო შალვა თქვენთვის ქართული მიწა, კოლხური მიწა. ამიერიდან იქ დაიმკვიდრებთ, სადაც თქვენი ახლობლები, წინაპრები და კოლეგა–მეგობრები განისვენებენ.

მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო.

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

„შენ ცხოვრებას კაცად შერჩი ბოლომდე“

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას კიდევ ერთი გამორჩეული და ღვაწლმოსილი პიროვნება დააკლდა.

ბატონმა შალვა ხარებავამ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და განათლების სფეროს განვითარებაში. თითქმის ნახევარი საუკუნე იღვაწა მან განათლების სფეროში. ,,მასწავლებელთა–მასწავლებელი“–ასეთად იცნობდნენ და აფასებდნენ მას კოლეგები, ფართო საზოგადოებრიობა.

თავად ობლობაში გაზრდილს და მრავალ სიდუხჭირეგამოვლილს (მისი ნაამბობიდან ვიცი) მოფერებაც საოცარად გემრიელი და თბილი იცოდა. საბედნიეროდ, გამონაკლისი არც მე გახლდით. მეც მრავალჯერ მიგრძვნია მისი გულთბილი დამოკიდებულება და მხარში ამოდგომა.

დღევანდელ დღესავით მახსოვს ბატონ შალვას შეხვედრა ხობის ცენტრში (ქალბატონი რალა ჩემია დამემოწმება), აფხაზეთიდან ჭუბერის გზა ცალი ფეხსაცმლით და პერანგის ამარა გამოვლილი, რომ დამინახა, მისი თვალცრემლიანი თვალები და მამა-შვილური მოფერება, არასდროს დამავიწყდება.

სულმნათ აკაკი გაწერელიას, დიდ მწერალსა და ლიტერატორს კარგად აქვს ნათქვამი „მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს იცხოვრებს ადამიანი, არამედ, ის თუ როგორ იცხოვრებს“.

ბატონმა შალვამ ღირსეულად იცხოვრა და ვალმოხდილი წავიდა ამ წუთისოფლიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი მართალი და პატიოსანი სული!

ბეჟან ნადარაია

მშვიდობით, მასწავლებელთა მასწავლებელო!

ხობის მუნიციპალიტეტის ინტელიგენციას გამოაკლდა განათლების დარგის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი, ქ. ხობის საპატიო მოქალაქე ბატონი შალვა სპირიდონის ძე ხარებავა.

ყველაზე დიდი ჯილდო, რაც მან ღირსეული ცხოვრების მანძილზე დაიმსახურა, თავისი აღსაზრდელებისა და ფართო საზოგადოების დიდი სიყვარული, საყოველთაო აღიარება და პატივისცემა იყო. მისი სიტყვა მუდამ გამორჩეული და ანგარიშგასაწევი გახლდათ. პროფესიად ზუსტი მეცნიერება–მათემატიკა აირჩია და ბოლომდე სახელოვნად უერთგულა მას. ათეული წელი ასწავლიდა ხობის №1 საშუალო სკოლაში მათემატიკას შემდგომ ამ სკოლის დირექტორიც გახლდათ.

ბატონი შალვა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხობის რაიონის განათლების განყოფილებას. როგორც დელეგატი, მონაწილეობდა რესპუბლიკის თუ საკავშირო მასწავლებელთა ყრილობების მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობის დროს „დაფრთიანებული“ პედაგოგები დღესაც ამშვენებენ მუნიციპალიტეტის განათლების დარგის დიდ და სახელოვან არმიას, ამავდროულად მას, რაიონის მრავალი სკოლის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. წლების განმავლობაში რაიონის მასწავლებელთა პროფკავშირების უბადლო თავმჯდომარე იყო.

რედაქციაში ხშირად გვსტუმრობდა. 82 წლის ასაკში მოსაგონარი ბევრი ჰქონდა, ჩემთვის შვილებივით საყვარლები ხართო, გვეტყოდა და სევდანარევი ხმით გვიყვებოდა მისი სიცოცხლის ტკბილ-მწარე ეპიზოდებს... ობლობაში გამოზრდილმა საკუთარი 3 შვილი ასევე ობლობაში გამოზარდა, რაიონში დაფასებულ პედაგოგთან, ლამაზ და თბილ ქალბატონ ლამარა ჯიქიასთან თანაცხოვრება ხანმოკლე გამოდგა. წუთისოფლის კანონების სიმწარე სრულიად ახალგაზრდამ იწვნია. მოგვიანებით სცადა კი ცხოვრების ხვედრის ბედისწერის შემობრუნება, მაგრამ ამაოდ.

სიამაყე და მედიდურობა მისი ცხოვრების წესი არ გახლდათ. მაგრამ საამაყო ბევრი ჰქონდა, თუნდაც ცხოვრების გავლილი გზა, ოჯახი, სახელოვანი შვილები და შვილიშვილები.

მიუხედავად ასაკისა, ბატონი შალვა ხარებავა საზოგადოებამ დიდი სიყვარულით გააცილა უკანასკნელ გზაზე. დიდი სითბო გაუკვალავს გზას ცათა სასუფევლისკენ იმის გარანტად, რომ მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თაობათა გულში.

მერი ლაგვილავა

ჩემო შალვა, ძვირფასო!

თავზარდაცემული ვწერ ამ სტრიქონებს, შენ, ჩემი უახლოესი ადამიანი, სააქაოს აღარახარ! შენ დამრჩი ერთადერთი, ვინც „მერიკოს“ მეძახდა, ვისაც ესმოდა ჩემი, ზოგჯერ უთქმელადაც კი...

შალვა, ჩემო მეგობარო, გუშინდელივით მახსოვს 1952 წლის მაისი. მე იმ წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შენ კი ხობის საშუალო სკოლა. 20 მაისს წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებდი. კარგად მახსოვს, ესეც და ყველა დანარჩენი ბრწყინვალედ ჩააბარე.

იმ დღიდან ერთად მოვდივართ, ერთმანეთს ვუზიარებთ ლხინსა და ჭირს, არა! ეს მარტო მეგობრობა არ იყო: შენი დაიკო, ვარდო და მე კლასელები ვიყავით. შენმა დედიკომ იცოდა ჩემი მძიმე ოჯახური მდგომარეობა, (მე გაცილებული ცოლ-ქმრის შვილი ვიყავი) სკოლიდან დაბრუნებულს თქვენს ოჯახში მუდამ დაუმადლებელი თბილი ლუკმა მელოდა.

გავიდა დრო. ჭირდა ცხოვრება, ხანდახან საკმაო ლუკმაპურიც სანატრელი გვქონდა, მაგრამ განათლების მიღების წყურვილმა ყველაფერი განზე დატოვა. ჩვენ გავიმარჯვეთ...

დაოჯახების შემდეგ უფრო განმტკიცდა ჩვენი ურთიერთობა.

მიხაროდა ასე გამართული, გახარებული რომ უძღვებოდი ოჯახს, ზრდიდი სამ შვილს, გყავდა შესანიშნავი მეუღლე, სამწუხაროდ, ახალგაზრდამ დაკარგე იგი. მიუხედავად უმძიმესი ტკივილისა, ვაჟკაცურად შეუტიე ცხოვრებას. კვლავ ფეხზე დადექი.

არაფერს ვამბობ შენს საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაზე. იგი საქვეყნოდ ცნობილია.

არაჩვეულებრივი თვისებების ადამიანი ხარ (შეგნებულად არ ვწერ იყავი–მეთქი) მშვიდი, გაწონასწორებული, კაცთმოყვარე, კაიკაცობის ეტალონი, სიკეთე იყო ყველგან შენი მეკვლე და მეგზური. შენი ნათელი, ღიმილიანი სახე, შენი მუდამ სიხარულით სავსე ლამაზი თვალები ხიბლავდა ყველას, შენი სულიერი სამყარო სინათლით ავსებდა ირგვლივ ყველაფერს.

ვერ ვიჯერებ, რომ კვლავ არ შევხვდებით, ერთმანეთს არ გავახარებთ!

ვანუგეშებ შენს შვილებს! მათ შეუძლიათ თავაწეულად ამაყად გაუსწორონ თვალი საზოგადოებას, რადგან ისინი შენი შვილები არიან!

ბედნიერი ვარ, რომ შენთან ვმეგობრობდი, შენს გვერდით ვცხოვრობდი, ჭირი და ლხინი ერთი გვქონდა!

არ გემშვიდობები, ჩვენ ისევ ერთად ვართ! ნახვამდის, შეხვედრამდე!

შენი „მერიკო“ მერი აბრამია

უკვდავებასთან წილნაყარი

განათლების დარგმა დიდი დანაკლისი განიცადა. პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ბატონი შალვა ხარებავა, ყველა ადამიანის მხარში ამომდგომი, სიკეთის მსურველი, უანგარო, შრომისმოყვარე, მაღალი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების მატარებელი. მოზარდი თაობის გულის მესაიდუმლე, მისი ყოველი დღე გაჯერებული იყო ოჯახისადმი, მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი მამობრივი ალერსით გამთბარი სიყვარულით. ექვსი ათეული წელი აღზრდის სათავეებთან–ეს ხომ გმირობაა. ამ პერიოდში მან დაიმსახურა საზოგადოების უნაპირო სიყვარული და პატივისცემა, რამეთუ მან შექმნა მუნიციპალიტეტის ძლიერი მონოლითური კოლექტივი, რომლის თითოეული წევრი იყო ერთგული და მებრძოლი ჯარისკაცი იმ რეფორმებისა და თაოსნობისა, რომლის სათავეებში პედაგოგიურ საზოგადოებას ედგა ბატონი შალვა ხარებავა.

ბატონო შალვა, ამ ქვეყნიდან წასვლით, მწარე ტკივილი მოგვაყენე, რამეთუ შენისთანა ადამიანები ალამაზებდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, უფრო შინაარსიანს და მიმზიდველს ხდიდნენ მას. ჩვენ, თქვენმა აღზრდილებმა, ბევრი ვისწავლეთ თქვენგან და თქვენი უკვდავი სულის სადიდებლად ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვმოძღვრავდი, შენ ხომ ოჯახის ბურჯი და განათლების დარგის ურყევი კედელი იყავი. შენი წასვლით დაცარიელდა ის ადგილი, რომელიც საზოგადოებაში გეკავა. ისინი მოგიგონებენ ყოველთვის, რამეთუ ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა. განათლების დარგის დიდოსტატს გიწოდებდნენ და ამ ტიტულით გადაინაცვლე უკვდავებაში. შენგან არავის არ ახსოვს უმნიშვნელო წყენაც კი. ეს იმიტომ, რომ ადვილად პოულობდი ადამიანების, ახალგაზრდობის გულებთან მისასვლელ გზებს. შენი კეთილი საქმეები და გულის სითბო წინ დახვდება შენს სათაყვანებელ შვილებს და შვილიშვილებს.

თქვენი ცხოვრების გავლილი დღეები ერთად აღებული დიდი წიგნია, რომელიც მუდამ ჩვენი ცხოვრების მეგზური იქნება. შენს აზრებს მოეთათბირება ჩვენი მომავალი თაობა. ღრმად მჯერა და მწამს, რომ ისინი ყოველთვის გაიმარჯვებენ.

უფალს შევთხოვ სიმშვიდე და ნათელი არ მოაკლდეს შენს უკვდავ სულს. განისვენე იქ, სადაც მართალნი და სპეტაკნი განისვენებენ.

ქრისტესმიერი სიყვარულით

შენი ყოფილი მოსწავლე

ალექსანდრე (საშა) არჩაია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ბატონ შოთა სირაძეს, მამის

ვაჟა სირაძის

გარდაცვალების გამო.

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ხობის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი, ქ. ხობის საპატიო მოქალაქე ბატონი

შალვა ხარებავა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ეროვნულ-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია, აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად, მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი, ხობის „საპატიო მოქალაქე“, დამსახურებული პედაგოგი, თაობათა ნიჭიერი აღმზრდელი, სპეტაკი და კეთილსინდისიერი ადამიანი, მისაბაძი მამულიშვილი, ღირსეული ოჯახის მამა და ბაბუა ბატონი

შალვა ხარებავა

ვწუხვართ და ვუსამძიმრებთ ბატონ შალვას ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, ახლობლებსა და თანამებრძოლთ, ხობის პედაგოგიურ საზოგადოებას.

აკადემია „ფაზისის“ პრეზიდიუმი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული პროექტები

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია.

* პირველ და მეორე გურიფულში ამოიწმინდა სანიაღვრე არხები;
* საჯიჯაოში აშენდა მოსაცდელი და შეკეთდა შიდა სასოფლო გზები;
* ხამისკურში დასრულდა სამანქანო ხიდის რეაბილიტაცია, შეკეთდა შიდა სასოფლო გზები;
* ხეთაში შეკეთდა შიდა სასოფლო გზები, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები და მოეწყო ხიდ-ბოგირები;
* ქვემო ქვალონში შეკეთდა შიდა სასოფლო გზები, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები;
* საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, ხობის მუნიციპალიტეტს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად 848311 ლარი გამოეყო.

მანცხადება

სააქციო საზოგადოება „ბეღელი“ აცხადებს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებს, რომელიც ჩატარდება 2016 წლის 29 სექტემბერს, 15 საათზე. მისამართი ქ. ხობი, 26 მაისის ქ. №6.

სააქციო საზოგადოების წევრთა დასწრება სავალდებულოა..

ნუგზარ ბუკია,
სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე.

მოლოცვა

თამარ და ელენე ალანიებს

თამარ და ელენე ალანიებს–ბიძაშვილებს, სექტემბრის თვეში დაბადებულებს.

გილოცავთ დაბადების დღეს. ჩემო ფერიებო გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

გაზრდილიყავით ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელო. მიყვარხართ, გკოცნით.

კუკლა (აგრაფინა) ბებო.

ლაღი და ლამაზი დღეებმი გქონებმოდეთ

ზაფხულის პაპანაქება დაცხრა. საზაფხულო არდადეგები მიილია, ქუჩები ბავშვების ჟრიამულმა აახმიანა, აფერადდა საბავშვო ბაგა-ბაღის ეზო...

19 სექტემბერი. ხობის მუნიციპალიტეტის №2 საბავშვო ბაგა-ბაღს, რომელსაც მოფერებით „ნარგიზას ბაღს“ ეძახიან, მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანების ბუმია. ეზო პატარების ჟივილ-ხივილს ვერ იტევს. მუსიკის ჰანგები

კიდევ უფრო აძლიერებს იქ მყოფთა ჟრიამულს. ზეიმია აღსაზრდელებისა და აღმზრდელების მონატრება პიკს აღწევს, ყველა ხალისობს... ბაგა-ბაღის განახლებული და დამშვენებული ეზო, ოთახები და ფოიე, მნახველს იზიდავს. ვის არ ნახავთ აქ, სტუმარი თუ მასპინძელი ბედნიერების სხივს ასხივებს.

ორშაბათი განსაკუთრებული დღეა. გასაკვირი არაფერია, აქ მუდამ სილამაზეა და ზეიმი, თუმცა ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული და განსაკუთრებული.

პატარებს ბევრი სტუმარი ჰყავთ: მშობლები, ახლობლები, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მესვეურები...

ზეიმი, როგორც ყოველთვის, გახსნა ბაგა-ბაღის მთავარმა სპეციალისტმა ნარგიზა ტუღუშმა. მან აღნიშნა, რომ წელს 180 აღსაზრდელი 6 ჯგუფში განაახლებს მეცადინეობას.

აქ წელს პირველად იფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც 5-6 წლიანები ორ პარალელურ ჯგუფში იქნებიან გაერთიანებულნი. საამისოდ აღმზრდელები უკვე გადამზადდნენ.

ტრადიციული ზეიმით შეეგებნენ პატარებს მსახიობებადქცეული აღმზრდელ-მასწავლებლები. ისინი ზღაპრებისა და საბავშვო მოთხრობების გმირებს განასახიერებდნენ. ვინ იყვნენ ისინი? წითელქუდა და მგელი, მაშა და დათვი, კატა, ბურატინოები თუ ჯამბაზები... ისმოდა სიმღერები, ცეკვავდნენ და ჟრიამულებდნენ დიდები და პატარები...

ზეიმი დიდხანს გაგრძელდა. ამ დღეს პატარებსა და სტუმრებს მიესალმა და ბედნიერი დღეები უსურვა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დოდო გაბუნიამ.

დასასრულს ქალბატონი ნარგიზა ტუღუში კიდევ ერთხელ მოესიყვარულა აღსაზრდელებს და წარმატებული წელი უსურვა.

ფეიერვერკმა ზეიმის დასასრული გვამცნო.

მუსიკის თანხლებით პატარები თავიანთი ჯგუფებისკენ გაემართნენ...

გილოცავთ! წარმატებები, ლაღი და ლამაზი დღეების სიმრავლე გქონებოდეთ ჩემო პატარებო–ჩვენი ქვეყნის ხვალინდელო დღევ!

დაე, თქვენთვის მუდამ ყოფილიყოს უღრუბლო და ბედნიერი დღეები!

ნანი კილასონია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.